Toyota Caucasus LLC regards sustainable growth and the stable, long-term enhancement of corporate value as essential management priorities. Building positive relationships with all stakeholders (including shareholders, customers, business partners, local communities, and employees) and consistently providing products that satisfy customers are key to addressing these priorities. To this end, Toyota constantly seeks to enhance corporate governance. Fundamental Approach - the Guiding Principles at Toyota as a brand state that Toyota shall “honor the language and spirit of the law of every nation and undertake open and fair business activities to be a good corporate citizen of the world.” Toyota Caucasus LLC follows guidelines set by the parent entity (defining the brand Toyota) and believes that by adhering to this principle in its actions, it can fulfill its corporate social responsibility and ensure compliance. A booklet containing the Toyota Code of Conduct is distributed to all employees to better enable them to put the code into practice in their own lives both at work and in the community.

3 Principal Activities and Portfolio of Products

The Company sells Toyota and Lexus branded vehicles and spare parts in Caucasus Region. The region itself considers Georgian, Armenian and Azerbaijani markets. The Company annually grants official dealership right to the entities, which satisfy certain criteria. The dealership right is granted separately for Lexus and Toyota brands.

The below schedules provide financial information of key performance indicators of the Company:
In US Dollar

	2018	2017
Revenue	230,545,789	145,748,079
Cost of sales	208,168,611	130,965,229
Gross profit margin	10%	10%
Net profit margin	5%	5%
Total assets	47,025,192	49,161,900
Total equity	27,673,690	25,214,423



4 Explanation for key changes

Increase in revenue (corresponding increase in cost of sales) was a resulting event of increased demand from Azerbaijan dealers due to increasing import duty fee on luxury vehicles. Some other factors also contributed to increase in revenue, which are:

- New official dealer coming into Georgian market in current year – Lexus Tbilisi LLC.
- The management's strategy, based on detailed understanding of market conditions, customer preferences and offerings of competitors.
- The Company has diversified its portfolio by selling new models of vehicles (Toyota Camry NG, Lexus ES, and Lexus LS).

Decrease in total assets is mainly due to decrease in Cash and Cash Equivalents as of the year end. The reason behind of this decrease is changed payment terms with Toyota Motor Europe (Grade period has been reduced from 150 days to 7 days).

Total increase in equity is a resulting event of net profit for 2018 (USD 12,511,001) less dividends declared and fully paid during the 2017 (USD 7,527,410).

5 Future plans of the Company

The Company plans to initiate sale of Toyota vehicles in Ganja in 2019. Product mix will not be changed significantly orientation is to sell more hybrid vehicles, however the Company will introduce new models of Toyota branded vehicles (Toyota Camry hybrid and Lexus UX).

Company's official dealer Toyota Center Tegeta plans to open a new 2S facility in Batumi and the management of the Company assumes that this fact will positively affect the sales volume of spare parts.

The management is planning to make an investment for construction of Toyota Office premises on land located in Avchala. The land is the owned property of the Company.

Key financial and non-financial indicators of the Company. Key financial indicators of the Company including relevant explanations for changes compared to 2017 figures is described in the "Principal Activity and Portfolio of Products" section above.

(i) Relationship with employees. The number of staff at Toyota Caucasus LLC is in the range of 70 - 75. The Company has a well-structured recruitment policy and only candidates with relevant qualification, experience and skills are recruited by the Company.

As an employer, Toyota Caucasus LLC provides the tools and consistent qualification training to ensure that great customer service is being provided by the staff. The Company offers exceptional advancement opportunities, a positive work environment, and competitive salary for hard-working, goal-oriented persons, where employee rights are well protected and closely monitored by relevant department of the Company.

(ii) Relationship with suppliers and dealers. The Company has established sound relationship with dealers all over the Caucasus region. Growth and strong positioning of dealers on competitive market are highly supported by the Company. Toyota Caucasus LLC has implemented internal system for dealers, which enables fast exchange of information such as order details (vehicle and spare parts specification) and delivery timing.

Toyota Caucasus LLC purchases vehicles and spare parts from Toyota Tsusho Corporation (the parent entity) and ensures the quality of each product is adhered on each individual purchase.

(iii) Relationship with tax authority. Tax accounting system of the Company is well established and managed. The accounting department of the Company is staffed with employees with relevant qualification and sufficient experience, which regularly attend different trainings to be on track of changes in the tax legislation affecting the Company.

Additionally, the Company uses outsourcing services for tax consultations when necessary. Annually the Company prepared transfer-pricing report to ensure compliance with local regulation. The Company has a limited history of disputes with tax authorities and no history of significant penalties and/or fines.

Additional explanations of amounts given in the annual financial statements.

Toyota Caucasus LLC is the only official importer of Toyota vehicles and spare parts. The vehicles are mainly produced in Japan and transported by the sea. First graph below shows top 5 models of cars by sale and second graph shows revenue from sale of vehicles per country.



Graph 1
Vehicles In US Dollar

	2018	2017
Land Cruiser	123,595,681	74,908,111
Lexus	45,151,173	31,088,004
Camry	22,127,140	4,426,486
Rav 4	7,863,111	9,582,618
Hilux	6,831,184	3,165,338
Corolla	6,493,801	7,975,267
C-HR	5,542,928	3,311,905
Fortuner	3,888,526	3,432,559
Prius	1,331,333	923,380
Coaster	136,006	323,686
Hiace	57,300	105,200

Graph 2
Vehicles In US Dollar

	2018	2017
Georgia	81,754,118	59,737,617
Azerbaijan	123,772,775	63,629,937
Armenia	17,491,280	14,633,164

The strong financial performance of the Company is driven by several important factors such as:

- Toyota and Lexus brand – Toyota's distinctive competence is its production system known as the "Toyota Production System" or TPS. TPS is based on the Lean Manufacturing concept. This concept also includes innovative practices like Just in Time, Kaizen, Six Sigma and so on. Toyota has worked tirelessly over the years to establish this distinctive competence. This distinct competence has led to a competitive advantage that has given Toyota a sustainable brand name and a market leader position.
- Service and customer satisfaction – Toyota Caucasus LLC provides warranty policy to the end customers (manufacturer's warranty) to ensure high satisfaction level of end customer.
- Top Management of the Company – management of the Company has a sufficient experience of working in the industry and they are 100% involved in day-to-day business of the Company, which enables to be on track of changes in the business and stay flexible to the changes.

6 Key risks and uncertainties:

Credit risks. The Company takes on exposure to credit risk, which is the risk that one party to a financial instrument will cause a financial loss for the other party by failing to discharge an obligation. Credit risk arises from cash and cash equivalents, term deposits with banks, as well as credit exposures to customers, including outstanding receivables.

The Company's maximum exposure to credit risk by class of is as follows:

	31 December 2018	31 December 2017
Trade receivable, net	4,502,851	1,630,748
Other receivables, net	191,536	278,394
Total maximum exposure to credit risk	4,694,387	1,909,142

Financial assets, which potentially subject Group to credit risk, consist principally of trade receivables. The carrying amount of accounts receivable, net of provision for impairment of receivables, represents the maximum amount exposed to credit risk.

The whole trade receivables of the Company are over-collateralised (those assets where collateral and other credit enhancements are equal to or exceed the carrying value of the asset ("over-collateralized assets")) by Bank Guarantee. The collateral amounted to USD 8,153 thousand and USD 5,300 thousand for the years



ended 31 December 2018 and 2017 respectively.

Cash is placed in financial institutions, which are considered at time of deposit to have minimal risk of default. The table below shows the balances with the major banks at the balance sheet dates:

<i>In US Dollar</i>	31 December 2018	31 December 2017
JSC Bank of Georgia – Current account	10,478,562	12,864,718
JSC TBC Bank - Current account	4,964,115	5,164,831
International Bank of Azerbaijan - Current account	-	16,621
The Bank of Tokyo-Mitsubishi UFJ, LTD - Current account	20,000	1,490
Total	15,462,677	18,047,660

Currency risk. The Company has exposure to the effects of fluctuations in the prevailing foreign currency exchange rates on its financial position and cash flows. Foreign exchange transaction exposure in the Company's financial information is mitigated by the fact that the Company tends to have the majority of its revenues and expenses denominated in the functional currency (in USD Dollar). The principal foreign exchange risk arises from fluctuations in the US Dollar value of the Company's net investment in currencies other than the US Dollar (primarily Euro and Georgian Lari).

In respect of currency risk, Management monitors the level of exposure by currency and in total. The positions are monitored on a regular basis.

	Monetary financial assets	Monetary financial liabilities	Net balance sheet position
US Dollar	20,139,998	(18,353,678)	1,786,320
Georgian Lari	17,103	(142,482)	(125,379)
Euros	6	(34,463)	(34,457)
Japanese Yen	-	(88,696)	(88,696)
Total as at 31 December 2018	20,157,107	(18,619,319)	1,537,788
US Dollar	18,996,115	(23,327,439)	(4,331,324)
Georgian Lari	925,833	(60,617)	713,557
Euros	32,014	(1,125)	30,889
Japanese Yen	2,840	-	2,840
Total as at 31 December 2017	19,956,802	(23,389,181)	(3,584,038)

The Company's objectives when managing capital are to safeguard the Company's ability to continue as a going concern in order to provide returns for shareholders and benefits for other stakeholders and to maintain an optimal capital structure to reduce the cost of capital.

Political risks. Due to the specifics of the Company's business, future performance of Toyota Caucasus LLC is closely linked to the political situation in Georgia and in the neighboring countries.


Mitsuru Konishi
President


Irakli Lekishvili
Director, Corporate Planning Division

29 March 2019

შპს “ტოიოტა კავკასია”

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერი

ქეთევან ჭეუიშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა.....	6
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	18
5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები	19
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	20
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	28
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29
10 მარაგები	30
11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	30
12 საწესდებო კაპიტალი	31
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	31
14 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით	31
15 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	32
16 დისტრიბუციის დანახარჯები	32
17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	32
18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	32
19 ფინანსური რისკების მართვა	33
20 კაპიტალის მართვა	39
21 რეალური ღირებულების შეფასება.....	39
22 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	41
23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	41
24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე	41

ჩეთვან ჭყიშტაი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტოიოტა კავკასიას ხელმძღვანელობასა და პარტნიორს

ჩვენი პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ტოიოტა კავკასიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფას“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ას“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობითი ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 29 მარტი
თბილისი, საქართველო

შპს „ტოიოტა კავკასია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები ასახულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8	8,197,568	8,446,571
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,197,568	8,446,571
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	17,478,661	20,646,717
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,886,243	2,020,952
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	15,462,720	18,047,660
სულ მოკლევადიანი აქტივები		38,827,624	40,715,329
სულ აქტივები		47,025,192	49,161,900
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	10,000,000	10,000,000
გაუნაწილებელი მოგება		17,673,690	15,391,595
სავალუტო კურსის სხვაობა		-	(177,172)
სულ საკუთარი კაპიტალი		27,673,690	25,214,423
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	19,301,208	23,939,240
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		398	-
გადასახადების კრედიტორული დავალიანება, ნეტო		49,896	8,237
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,351,502	23,947,477
სულ ვალდებულებები		19,351,502	23,947,477
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		47,025,192	49,161,900

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2019 წლის 29 მარტს.

[სახელი]
[პრეზიდენტი]

[სახელი]
[მთავარი ბუღალტერი]

თანმდევი შენიშვნები 5-დან 33-ე გვერდამდე ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია

ქეთევან ზეციშვილი

შპს „ტოიოტა კავკასია“
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (თანხები გამოსახულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	14	230,545,789	145,748,079
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15	(208,168,611)	(130,965,228)
მთლიანი მოგება		22,377,178	14,782,851
სხვა საოპერაციო შემოსავალი		260,555	2,231,416
დისტრიბუციის დანახარჯები	16	(4,206,131)	(3,145,862)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(4,734,477)	(4,333,442)
ნეტო ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(484,155)	(201,533)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,010,180)	(2,227,160)
საოპერაციო მოგება		12,202,790	7,106,270
ფინანსური შემოსავალი		405,875	550,245
ფინანსური დანახარჯები		(97,727)	(129,107)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		12,510,938	7,527,408
მოგების გადასახადის ხარჯი		(17,857)	(11,301)
წლის მოგება		12,493,081	7,516,107
სხვა სრული შემოსავალი		177,172	4,505
წლის მთლიანი სრული მოგება		12,670,253	7,520,612

თანმდევი შენიშვნები 5-დან 33-ე გვერდამდე ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია

ქეთევან ზეიწყაშვილი

შპს „ტოიოტა კავკასია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები გამოსახულია აშშ დოლარში)

	საწესდებო კაპიტალი	ვალუტის კონვერტირების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	10,000,000	(181,677)	10,951,832	20,770,155
წლის მოგება	-	-	7,527,410	7,527,410
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	4,505	-	4,505
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი 2017 წლის 1 იანვარს	10,000,000	(177,172)	18,479,242	28,302,070
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(3,087,647)	(3,087,647)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	10,000,000	(177,172)	15,391,595	25,214,423
წლის მოგება	-	-	12,511,001	12,511,001
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	177,172	-	177,172
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბერს	10,000,000	-	27,902,596	37,902,596
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(10,228,906)	(10,228,906)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	10,000,000	-	17,673,690	27,673,690

თანმდევრე შენიშვნები 5-დან 33-ე გვერდამდე ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია

ქეთევან ჭეშინავაძე

შპს „ტოიოტა კავკასია“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		12,510,938	7,527,410
შესწორებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	8	536,592	653,876
მარაგების ჩამოწერა რეალიზაციის ღირებულებამდე, ნეტო	15	(97,609)	(118,618)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული ზარალი/(შემოსავალი), ნეტო		78,619	(74,243)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		484,315	201,533
საპროცენტო შემოსავალი		(405,875)	(550,245)
საპროცენტო ხარჯი		97,727	129,107
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		13,204,707	7,768,820
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	(3,873,323)	534,745
ცვლილება მარაგებში	10	3,265,665	(9,575,875)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	(4,807,482)	9,465,977
ცვლილება სხვა გადასახდელ გადასახადებში		42,057	(370,189)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(5,373,083)	54,658
გადახდილი მოგების გადასახადი		(129,396)	(805,923)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		405,875	550,245
გადახდილი პროცენტი		(72,557)	(129,107)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		8,035,546	7,438,693
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(322,798)	(868,780)
ამონაგები ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		(43,410)	434,088
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(366,208)	(434,692)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კომპანიის აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები		(10,228,906)	(3,087,647)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(10,228,906)	(3,087,647)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად ნაკადებზე და მათ ექვივალენტებზე		(25,372)	(41,536)
ფულადი ნაკადები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	18,047,660	14,172,842
ფულადი ნაკადები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	11	15,462,720	18,047,660

თანმდევი შენიშვნები 5-დან 33-ე გვერდამდე ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია

ქეთევან ჭყიშკაშვილი

1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა

შპს ტოიოტა კავკასია (შემდგომ „კომპანია“) 2006 წლის 18 იანვარს დაფუძნდა საქართველოში და დარეგისტრირდა თბილისში საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით 236089273. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა (შპს) და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია.

კომპანიის მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Toyota Tsusho Corporation“, რომელიც მისი აქციების 100%-ს ფლობს.

კომპანიას საშუალოდ 71 თანამშრომელი ჰყავს (2017:71).

კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტას ავტომანქანებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ გაყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისათვის. კომპანია მოქმედებს ტოიოტა ცუშო კორპორაციასა და კომპანიას შორის დადებული სადისტრიბუციო ხელშეკრულების მიხედვით, რის საფუძველზეც, კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის პროდუქციის გადაყიდვაზე.

2010 წლის 30 სექტემბერს კომპანიამ შპს F&Co-ს აქციების 100% შეიძინა. ძირითადად ეს გახლდათ მიწის ნაკვეთი, რომელსაც კომპანია თავიდანვე ქირაობდა თავისი გასაყიდი ავტომანქანების გასაჩერებლად, რისთვისაც კომპანიამ 6,620,178 აშშ დოლარი გადაიხადა. 2018 წლის 24 ივლისს, კომპანია შეერწყა თავის შვილობილ კომპანიას, შპს F&Co-ს.

2013 წლის 4 ნოემბერს შპს ტოიოტა კავკასიამ წარმომადგენლობა დააფუძნა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. წარმომადგენლობა შვილობილი საწარმო არ არის. კომპანიის ერთადერთი საქმიანობაა კომპანიის წარმოდგენა და მისი ინტერესების დაცვა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ყაზბეგის ქ. #34, საქართველო, 0186, თბილისი.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ისევ აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საქართველოს იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნესის ამ დარგსა და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რა გავლენა, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მას კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტი) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით რეალური ღირებულების საფუძველზე. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. პოლიტიკის ცვლილებების გარდა, რომელიც ფასს 9-სა და ფასს 15-ს მიღების შედეგია, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრობით იქნა გამოყენებული წარდგენილ თითოეულ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის 31 დეკემბრამდე, წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებთან შესაბამისობაში მომზადება მოთხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან გამოიყენოს მისი განსჯა კომპანიის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის ადგილები, სადაც განსჯის ან სირთულის მაღალი დონეა ჩართული, ან ის ადგილები, სადაც ვარაუდები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია, გამჟღავნებულია მე 4-ე შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი ("USD"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ტრანზაქციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია იმ დღის ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლის კურსის და უცხოური ვალუტის გაცვლის მოგება და ზარალი, რომელიც ეხება ფულს და ფულის ექვივალენტებს, წარდგენილია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, უცხოური ვალუტის ზარალი, ნეტო ნაწილში. შვილობილი საწარმოს (შპს F&Co) ნაშთი, რომელიც განსხვავებულ ვალუტაშია (ქართული ლარი) კონვერტირებულია აშშ დოლარში 2.4454 გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც ძალაში იყო შერწყმის დღეს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ანარცხებით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შედინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება მოხდება კომპანიაში. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

ბიზნეს გეგმვა

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების გადანაწილების გზით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
ავტომანქანები	4 წელი
კომპიუტერული მოწყობილობები	2.5 წელი
საოფისე მოწყობილობები	2.5 წელი
სხვა	2.5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. შეძენილი ბუღალტრული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვა, ხარჯებში აისახება გაწევისთანავე. პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 3 წლის განმავლობაში. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გაყიდვის ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, უმაღლესს ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების მთავარი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც არ ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის რეალური ღირებულებით, იმ ფასზე დაყრდნობით, რომელიც მიიღებოდა წმინდა ხანგრძლივი პოზიციის (მაგ. აქტივის) გაყიდვით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ, რიგითი ტრანზაქციისას, ბაზრის მონაწილეებს შორის, შეფასების დღეს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადი ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულებების იერარქიაში დონეებს შორის გადანაცვლებები არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს დაფარვის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან შემოსავლები (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვები და გაყიდვები, რომლებიც მოითხოვენ მიწოდებას გარკვეულ ვადებში, რომლებიც დადგენილია რეგულაციებით და საბაზრო კონვენციებით („ჩვეულებრივი გზით“ შესყიდვები და გაყიდვები), აღრიცხება ვაჭრობის თარიღით, რომელიც ის თარიღია, რის მიხედვითაც კომპანიამ განახორციელა ფინანსური აქტივის მიწოდება. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ანარეცხვებში.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით (“AC”) აფასებს. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი”) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა და როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”). წარმოებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ აღარ ექვემდებარება ხელახალ შეფასებას.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანიას ორი ტიპის ფინანსური აქტივი აქვს რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს - (i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და (ii) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადადადაცილებული დღეების მიხედვით.

მე-20-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის თუ როგორ აერთიანებს კომპანია მომავალ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ ასებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივები გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით“, გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზრალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არ აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება: ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იხვერება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იხვერება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

ქეთევან ჯეიუაძე

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად დივიდენდის გადახდის რეალური თარიღისა. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: (i) ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, (ii) აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და (iii) წარმომადგენლობითი დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახადელი დღე ამოღებადია ჩასათვლედი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მთლიანობაზე დაყრდნობით და გამჟღავნებულია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. სადაც ანარიცხი მიღებულია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, გაუფასურების ზარალი აღრიცხულია მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ის ჩათვლით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით. პროდუქცია ტრანზიტში წარმოადგენს ყველა იმ პროდუქციას, რომელიც შესყიდულია და გადაზიდული, მაგრამ ჯერ მიწოდებული არაა. პროდუქციის რისკი და სარგებელი გადადის კომპანიაზე იმ დროიდან, როდესაც პროდუქცია გადაზიდულია.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ქეთევან ჯეფიშვილი

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება.

გაყიდვებში არ არის წარმოდგენილი არანაირი დაფინანსების ელემენტი, რადგან გაყიდვები ხორციელდება 21 დღიანი საკრედიტო პირობით, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

მოთხოვნა აღიარებულია მაშინ, როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს ის დროის მონაკვეთია, როდესაც კომპენსაცია უპირობოა, იმიტომ, რომ მხოლოდ დროის გასვლაა მოთხოვნილი მანამ, სანამ გადახდის დრო მოვა.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები. ანაზღაურება, ხელფასები, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება გაწეულ იქნა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

თეიმურაზ ჭყეიშვილი

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ფინანსურ ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებებისა და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ეს ოპერაციები ძირითადად საბაზრო ღირებულებით ფასდება. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. მსჯელობის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (ბ) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (ც) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებებზეა დამოკიდებული.

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება. კომპანიამ „ფასს“ 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ არჩია რომ არ დაეკორექტირებინა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნებში გამოვლენილია გასული წლის განმარტებითი შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები აღწერილია მე-3-ე შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც შესადარისი ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 27-ე შენიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტების გადაკლასიფიცირება მოხდა ბასს 39-ის „სესხები და მოთხოვნების (L&R)“ კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის შემოღების თარიღით. ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნების გადაკლასიფიცირება მოხდა ბასს 39 -ის „სესხების და მოთხოვნების (L&R)“ კატეგორიიდან „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის მიღების თარიღით. სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფასს 9-ს გავლენა რეზერვებზე და გაუნაწილებელ შემოსავალზე არ იყო მნიშვნელოვანი 2018 წლის 1 იანვრისთვის. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღირიცხა ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ცვლილებები არ მომხდარა.

ფასს 15-ის „ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიღება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და არჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდის ხელმისაწვდომი, პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონისძიებების მიღება. კომპანია ფასს 15-ს იყენებს რეტროსპექტიულად მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ს მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და შესწორებების აღიარება ფინანსური ანგარიშგებაში. მთავარი ცვლილება ფასს 15-ის მიღების შედეგად დამატებითი წარმადობის ვალდებულება იყო, გადაზიდვის ბრუნვა. ფასს- 15-ის ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

შემდგომი შეცვლილი სტანდარტები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- შესწორებები ბასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, ასევე ხორციელდება დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის გამოიყენებს მის სავალდებულო კორექტირების თარიღს, 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისების ცვლილების გარეშე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს შეუქცევადი მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები 355 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც აღიარებული იქნება ხარჯად, წრფივი მეთოდით, მოგება-ზარალში.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე. ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 28 „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია.

კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემქმნმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ბასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯულ ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის ასრებითად დასრულებამდე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მოწოდებებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქეთევან ჭყეუაშვილი

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო და მაკონტროლებელი მხარე გამჟღავნებულია შენიშვნა 1-ში.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

დოლარში	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	1,079,081
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,261,293	33,791

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლების და ხარჯების მუხლები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დოლარში	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
საგარანტიო მოთხოვნა	-	1,372,611
სადაზღვევო მოთხოვნა	-	27,147
პროდუქციის შესყიდვა	(197,013,436)	(7,221,113)
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(137,167)	-
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	-	(31,888)
სხვა მომსახურება	-	(197,431)
საპროცენტო ხარჯი	-	(96,659)

ქეთევან ჭყეშაძე

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	1,634	229,316
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,193,240	36,716

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლების და ხარჯების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები
საგარანტიო მოთხოვნა	-	2,376,245
სადაზღვევო მოთხოვნა	-	3,984
პროდუქციის შესყიდვა	(135,022,168)	(6,208,671)
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(94,048)	-
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	-	(38,424)
სხვა მომსახურება	-	(103,073)
საპროცენტო ხარჯი	-	(129,107)

დაკავშირებული მხარეების ფინანსური მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნებს ანაზღაურებად გარანტიებზე და სადაზღვევო მოთხოვნებზე, რომლებიც მიღებული იყო ან დაერიცხა კომპანიას და წარედგინათ შესაბამის მხარეებს საგარანტიო და სადაზღვევო შეთანხმებების საფუძველზე. საპროცენტო ხარჯი ეკისრება ვადაგადაცილებულ გადასახდელ თანხებს, რომლებიც გამომდინარეობს დაკავშირებული მხარის სათადარიგო ნაწილების შესყიდვისგან. (1.85% საპროცენტო განაკვეთი 90 დღეზე გაწერილი).

კომპენსაცია, რომელიც გაიცემა ხელმძღვანელ პირებზე მათი მიერ გაწეული მომსახურებისთვის, სრული განაკვეთით აღმასრულებელი მმართველების პოზიციაზე შეყვანილია თანამშრომლების ხარჯებში მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 162 ათას აშშ დოლარს და 190 ათას აშშ დოლარს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

ბეთან ზეეუაძე

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

დოლარში	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტომობილები	კომპიუტერული აქტივები	საოფისე აქტივები	სხვა	არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	7,237,292	1,041,726	265,590	620,053	479,361	462,679	10,106,701
დაგროვილი ცვეთა	(108,657)	(447,837)	(161,234)	(521,871)	(134,829)	(179,811)	(1,554,239)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	7,128,635	593,889	104,356	98,182	344,532	282,868	8,552,462
დამატებები	-	551,434	125,537	4,851	-	186,958	868,780
გასვლები	-	(760,476)	(152,579)	(539,761)	(1,141)	(258,815)	(1,712,772)
ცვეთის ხარჯი	(28,189)	(170,091)	(75,124)	(88,175)	(110,420)	(147,335)	(619,334)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	400,631	152,579	539,761	1,141	258,815	1,352,927
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	4,508	-	-	-	-	-	4,508
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	7,104,954	615,387	154,769	14,858	234,112	322,491	8,446,571
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	7,241,800	832,684	238,548	85,143	478,220	390,822	9,267,217
დაგროვილი ცვეთა	(136,846)	(217,297)	(83,779)	(70,285)	(244,108)	(68,331)	(820,646)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	7,104,954	615,387	154,769	14,858	234,112	322,491	8,446,571
დამატებები	-	159,485	17,810	100,975	3,180	41,348	322,798
გასვლები	-	(52,015)	(42,672)	(75,052)	(426)	(19,784)	(189,949)
ცვეთის ხარჯი	(5,018)	(174,120)	(89,509)	(12,420)	(112,052)	(143,473)	(536,592)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	16,806	42,672	75,052	426	19,784	154,740
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	7,099,936	565,543	83,070	103,413	125,240	220,366	8,197,568
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	7,241,800	940,154	213,686	111,066	480,974	412,386	9,400,066
დაგროვილი ცვეთა	(141,864)	(374,611)	(130,616)	(7,653)	(355,734)	(192,020)	(1,202,498)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	7,099,936	565,543	83,070	103,413	125,240	220,366	8,197,568

თეთან ჭყიპაძე

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

2018 წლის 24 ივლისს, შპს F&Co შეერწყა შპს ტოიოტა კავკასიას. შპს F&Co-ს ერთადერთი აქტივი იყო 6,827,627 აშშ დოლარის ღირებულების მიწა, რომელიც გადავიდა შპს ტოიოტა კავკასიის ნაშთზე.

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დოლარში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	4,502,851	1,630,747
სხვა ფინანსური მოთხოვნები	191,536	278,394
შემცირებული საკრედიტო ზარალის რეზერვით	-	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4,694,387	1,909,141
სხვა მოთხოვნები	-	-
გადახდილი ავანსები	1,191,856	111,811
შემცირებული საკრედიტო ზარალის რეზერვით	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,886,243	2,020,952

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები უზრუნველყოფილია კლიენტების მიერ საბანკო გარანტიებით (ავტო დილერები). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარანტირებული თანხა შეადგენს 8,153,000 აშშ დოლარს (2017: 5,300,000 აშშ დოლარი).

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს მუდმივ მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის უმნიშვნელო იყო. გამარტივებული მიდგომის გამოყენების დეტალები იხილეთ შენიშვნა 3-ში და შენიშვნა 20-ში.

გადახდილი ავანსების მოძრაობა არის შემდეგი:

დოლარში	პროდუქციისთვის გადახდილი ავანსები	მომსახურებისთვის ს გადახდილი ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	91,419	123,713	215,132
დამატებები	64,512	577,683	642,195
დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას ალიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(155,878)	(589,638)	(745,516)
სულ გადახდილი ავანსები 2017 წლის 31 დეკემბერს	53	111,758	111,811
დამატებები	1,890,917	667,607	2,558,524
დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას ალიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(1,000,034)	(478,445)	(1,478,479)
სულ გადახდილი ავანსები 2018 წლის 31 დეკემბერს	890,936	300,920	1,191,856

ქეთევან ჭყეიშვილი

10 მარაგები

დოლარში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გასაყიდი ავტომობილები	9,923,615	3,370,761
პროდუქცია ტრანზიტში	6,288,098	16,132,424
სათადარიგო ნაწილები	1,252,055	1,123,039
სხვა	14,893	20,493
სულ მარაგები 2018 წლის 31 დეკემბერს	17,478,661	20,646,717

მარაგების ნაშთი დადგენილია ღირებულებას და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

დოლარში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	15,462,720	18,047,660
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15,462,720	18,047,660

ფულადი სახსრები საქართველოს საუკეთესო ბანკში ინახება. ყველა ნაშთი მოკლევადიანია და გაუფასურებული არ არის. ქართულ ბანკებში არსებულ ნაშთებს ერიცხება წლიური 1.5%- 3% საპროცენტო განაკვეთი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი საკრედიტო რისკების სტადიების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი შეიძლება შეჯამებული იყოს Fitch რეიტინგების მიხედვით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დოლარში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული		
- B რეიტინგით	15,462,720	18,047,660
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15,462,720	18,047,660

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს Toyota Tsusho Corporation-ი და კომპანიის დამტკიცებული საწესდებო კაპიტალია 10 მილიონი აშშ დოლარი, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის (2017 წლის 31 დეკემბერი: 10 მილიონი აშშ დოლარი).

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა დივიდენდები 10,228,906 აშშ დოლარის ოდენობით. (2017: 3,087,647 აშშ დოლარი). შესაბამისი მოგების გადასახადია 511,455 აშშ დოლარი (2017: 145,382 აშშ დოლარი).

შპს „ტოიოტა კავკასია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებები - 31 დეკემბერი, 2018

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დოლარში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,619,319	23,389,180
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტები	380,000	151,660
სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზირებული ღირებულებით	18,999,319	23,540,840
მიღებული ავანსები	301,889	398,400
სულ სხვა ვალდებულებები	301,889	398,400
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	19,301,208	23,939,240

14 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

დოლარში	2018	2017
ავტომობილების გაყიდვა	222,569,664	139,055,191
სათადარიგო ნაწილების გაყიდვა	8,304,684	6,573,421
კატალოგებისა და სახელმძღვანელოების გაყიდვა	134,642	146,348
გაყიდვის საკომისიო	(463,201)	(26,881)
სულ ამონაგები კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან	230,545,789	145,748,079

კომპანია იღებს ამონაგებს კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან პროდუქციის დროულად მიწოდებისთვის.

15 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

დოლარში	2018	2017
ავტომობილების თვითღირებულება	201,896,719	125,807,997
სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	6,256,871	5,149,791
კატალოგებისა და სახელმძღვანელოების თვითღირებულება	112,630	126,058
გაუფასურებული მარაგის აღდგენა, ნეტო	(97,609)	(118,618)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	208,168,611	130,965,228

16 დისტრიბუციის დანახარჯები

ქეთევან ჭეჭიძე

შპს „ტოიოტა კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებები - 31 დეკემბერი, 2018

დოლარში	2018	2017
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	1,713,044	1,291,060
ტრანსპორტირების ხარჯები	1,561,527	909,644
პერსონალის ხელფასისა და გასამრჯელოების ხარჯი	798,050	869,551
სერთიფიცირების ხარჯი (EUR 4 სერთიფიცირების საზღაური)	89,009	49,073
საბაჟო ხარჯები	44,501	26,534
სულ დისტრიბუციის დანახარჯები	4,206,131	3,145,862

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

დოლარში	2018	2017
პერსონალის ხელფასისა და გასამრჯელოების ხარჯი	1,542,506	1,481,009
იჯარის ხარჯი	620,770	652,300
საბანკო ხარჯები	581,375	416,448
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	548,457	653,876
მოგზაურობის ხარჯი	376,128	285,278
პროფესიული ხარჯები	244,722	249,382
ტელეკომუნიკაციის ხარჯი	162,738	106,171
ხელმძღვანელობის საზღაური	139,167	94,048
საოფისე ხარჯები	126,016	81,145
საწვავის ხარჯი	105,004	89,873
კომუნალური ხარჯები	49,844	49,848
დაზღვევის ხარჯი	40,467	40,601
უსაფრთხოების მომსახურების ხარჯი	31,152	42,740
სხვა	166,131	90,723
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,734,477	4,333,442

პროფესიული მომსახურების საზღაური მოიცავს 57 ათას აშშ დოლარს (2017: 57 ათასი აშშ დოლარი), აუდიტის მომსახურების სახით.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომელთაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საპროცენტო ხარჯების დაკისრების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და კომპანიის პოზიცია საგადასახადო კუთხით შენარჩუნდება. შესაბამისად, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს არ ყოფილა ასახული ანარიცხი პოტენციური საგადასახადო ვალდებულებისათვის.

18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბიუჯეტის განმარტება

დაკავშირებული მხარეები. კომპანია დამოკიდებულია მშობელი საწარმოდან დახმარების მუდმივად მიღებაზე. მშობელი საწარმოს წინაშე არსებული სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ანგარიშსწორების გადავადების გარეშე კომპანიას შეიძლება გაუჭირდეს თავის საოპერაციო ფულად სახსრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სასამართლო დავები. საანგარიშგებო თარიღით, კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი საფრთხე სასამართლო დავის შესახებ, ანუ ფინანსური ანგარიშგების თარიღით არ არსებობს სასამართლო დავის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო საქმიანობა განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გავრცელებული მრავალი სახის დაზღვევა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია თავისი ქონების, საქმიანობის შეფერხების დაზღვევა, ან მესამე მხარის ვალდებულება კომპანიის ქონების ან კომპანიის ოპერაციებთან მიმართებით ქონების შემთხვევით დაზიანებისათვის.

სანამ კომპანია მიიღებს სათანადო დაზღვევას, იარსებებს გარკვეული აქტივების დაკარგვის ან განადგურების შედეგად კომპანიის საქმიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებითი უარყოფითი გავლენის რისკი.

საოპერაციო იჯარის მოვალეობა. როდესაც კომპანია არის მოიჯარე, მაშინ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ფარგლებში შემდეგია:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ სამომავლო ქვეიჯარის გადახდები, კომპანიის შეუქცევად, საოპერაციო ქვეიჯარის მიხედვით შეადგენს 355 ათასი აშშ დოლარს (2017: 612 ათასი აშშ დოლარი), რომელიც გადასახდელია არაუგვიანეს 1 წლის პერიოდში.

19 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ (საკრედიტო, ბაზრის, გეოგრაფიული, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები), საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას. საკრედიტო რისკის შეფასება რისკის მართვისთვის ეყრდნობა მხოლოდ საკრედიტო რისკის ანალიზს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს ყველა კლიენტისთვის/დილერისთვის და ითხოვს საბანკო გარანტიებს, როგორც გირაოს, გასანადგებელი მოთხოვნების ნაშთებისთვის. სავაჭრო მოთხოვნები ქარბად უზრუნველყოფილია საგარანტიო თანხებით.

ბიზნეს გეგმა

19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნეს და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტ უნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების წარმადობას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცდილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე, და შესაბამის, ამ პერიოდში გამოცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირებულია მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლის მიერ მოთხოვნების შესრულებაზე.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი კლიენტების სიას 8 პარტნიორი წარმოადგენდა (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 პარტნიორი). სულ აგრეგირებული ნაშთი ამ პარტნიორებიდან იყო 5,390 ათასი აშშ დოლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 1,631 აშშ დოლარი) ან 92% (2017 წლის 31 დეკემბერი: 81%) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხისა.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რაც მას გააჩნია, აქტივების კლასების მიხედვით, შემდეგია:

დოლარში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 9)		
- სავაჭრო მოთხოვნები	4,502,851	1,630,747
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 11)		
- საბანკო ნაშთები, მოთხოვნებზე	15,262,720	17,847,660
სულ არსებული საკრედიტო რისკი	19,765,571	19,478,407

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ქეთევან ჭეიფაძე

19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დოლარში	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	20,139,998	(18,353,678)	1,786,320	18,996,115	(23,327,439)	(4,331,324)
ლარი	17,103	(142,482)	(125,379)	925,833	(60,617)	865,216
ევრო	6	(34,463)	(34,457)	32,014	(1,125)	30,889
სხვა	-	(88,696)	(88,696)	2,840	-	2,840
სულ	20,157,107	(18,619,319)	1,537,788	19,956,802	(23,389,181)	(3,432,379)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები არ იცვლება. რისკის არსებობა გამოთვლილია მხოლოდ მონეტარული ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის საწარმოს ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში.

დოლარში	2018		2017	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
ქართული ლარის გამყარება 10% -ით	(12,538)	(11,535)	86,522	79,600
ქართული ლარის გაუფასურება 10% -ით	12,538	11,535	(86,522)	(79,600)
ევროს გამყარება 10%-ით	(3,446)	(3,170)	3,089	2,842
ევროს გაუფასურება 10% -ით	3,446	3,170	(3,089)	(2,842)
სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით	(8,870)	-	284	261
სხვა ვალუტის გაუფასურება 10%-ით	8	-	(284)	(261)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს დაფინანსების სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მეშვეობით.

კომპანია ფონდის ინვესტირებას ახდენს ლიკვიდური აქტივების დიფერენცირებულ პორტფელში, იმისათვის, რომ უნარი ჰქონდეს სწრაფად და უპრობლემოდ უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი ნაკადებისა და მათი ექვივალენტებისგან (შენიშვნა 11). ხელმძღვანელობა აფასებს იმას, რომ ლიკვიდურობის პორტფელის ფული და საბანკო დეპოზიტები შეიძლება რეალიზებული იყოს ნაღდ ფულზე, ერთ დღეში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაფარად.

ქვემოთ მოცემული ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენენ სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ქეთევან ზეიწყაშვილი

19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დოლარში	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	11,871,103	6,368,216	-	-	-	18,239,319
სხვა ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 13)	380,000	-	-	-	-	380,000
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	12,251,103	6,368,216	-	-	-	18,619,319

ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დოლარში	მოთხოვნა და 1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	18,160,399	5,032,841	-	-	-	23,193,240
სხვა ფინანსური ვალდებულებები (შენიშვნა 13)	195,940	-	-	-	-	195,940
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	18,356,339	5,032,841	-	-	-	23,389,180

20 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა და საქმიანობის გაგრძელება, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღ ლიკვიდურობის კოეფიციენტს სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვით, როდესაც წლიური დივიდენდები უკვე გადახდილია.

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის გარე სავალდებულო მოთხოვნები კაპიტალზე.

21 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე

ქეთევან ჭეიშყაძე

კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელთ არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად და სჯერა, რომ მისი მოკლვადიანი მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

დოლარში	31 დეკემბერი 2018			31 დეკემბერი 2017		
	1	2	3	1	2	3
აქტივები						
- ფულადი						
სახსრები და მათი						
ექვივალენტები	-	15,462,720	-	-	18,047,660	-
- სავაჭრო		0	15,462,720		0	18,047,660
მოთხოვნები	-	-	5,886,243	-	-	2,020,952
			5,886,243			2,020,952
სულ აქტივები	-	15,462,720	5,886,243	-	18,047,660	20,068,612
ვალდებულებები						
- სავაჭრო						
ვალდებულებები	-	-	(19,301,208)	-	-	(23,939,240)
			(19,301,208)			(23,939,240)
სულ						
ვალდებულებები	-	-	(19,301,208)	-	-	(23,939,240)

22 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) ვალდებულებების ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) კაპიტალის ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) აქტივების ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ აქტივების ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის თავდაპირველ რეალურ, შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით კატეგორიაში.

22 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების მიზნებისთვის, ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება“, ფინანსურ აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად:

ტოიოტა კავკასია

(ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადის დადგომამდე არსებული ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადის დადგომამდე არსებულ ფინანსურ აქტივად კლასიფიცირებული. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები შედის სესხების და მოთხოვნების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გადავიდა ამორტიზირებულ ღირებულებაში.

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები და არ გამოუვლენია ის მოვლენები, რომლებიც ამ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით, წარმოადგენს შემდგომს:

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება ის ღირებულებაა, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილე მხარეთა შორის გარიგების საფუძველზე განხორციელებული ტრანზაქციის მეშვეობით, შეფასების დღეს. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი ერთია, რომელშიც აქტივისა თუ ვალდებულების ტრანზაქციებს აქვთ ადგილი საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, იმისათვის, რომ მიმდინარეობის საფუძველზე ფასწარმოქმნის ინფორმაცია იყოს მოპოვებული.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის მიხედვით და საწარმოს მიერ ფლობილი რაოდენობით. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი ტრანზაქციით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსი).

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები ზრდადი დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა,

ქეთევან ჭყეშელაშვილი

მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელდეს. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს. ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი და, ფინანსური აქტივებისთვის, შემცირებული ანარიცხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია ის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივებს აქვთ შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული განსაზღვრული გადახდებით, გარდა მათი, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვა განზრახული აქვს კომპანიას. კომპანიის სესხები და მოთხოვნები შედგება „სავაჭრო და სხვა მოთხოვნების“ და „ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისგან“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და მოგების ან ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა

ქეთევან ჭეიშყაძე

შპს „ტოიოტა კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებები - 31 დეკემბერი, 2018

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების (რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები)) გარკვეულ ვადებში შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც კომპანია თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

ქეთევან ჭეიფაძე



დანართი 1 – ხელმძღვანელობის ანგარიში

შპს ტოიოტა კავკასია

მმართველობითი ანგარიშგება

1 კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2018

ზოგადი ინფორმაცია: შპს ტოიოტა კავკასია („კომპანია“) მდებარეობს საქართველოში და დაარსდა 2006 წლის 18 იანვარს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს) და დაფუძნდა საქართველოს რეგულაციების მიხედვით.

კომპანიის უშუალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ტოიოტა ცუშო კორპორაციაა, რომელიც აქციების 100% -ის მფლობელია.

კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტას ავტომანქანებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ გაყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისათვის.

კომპანია მოქმედებს Toyota Tsusho Corporation-სა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმების მიხედვით, რის საფუძველზეც კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდის პროდუქციის გადამყიდვაზე.

2010 წლის 30 სექტემბერს კომპანიამ შპს F&Co-ს აქციების 100% შეიძინა, ძირითადად ეს გახლდათ მიწის ნაკვეთი, რომელსაც კომპანია თავიდანვე ქირაობდა მისგან თავისი გასაყიდი ავტომანქანების გასაჩერებლად. 2018 წლის 24 ივლისს, კომპანია შეერყა თავის შვილობილ შპს F&Co-ს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ყაზბეგის ქ. #34, საქართველო, 0181, თბილისი.

შპს ტოიოტა კავკასია, როგორც გლობალური ტოიოტას ჯგუფის ნაწილი, მშობელი საწარმოს შიდა პოლიტიკისა და კულტურული ღირებულებების მიმდევარია. ტოიოტას ბრენდის ფილოსოფია ყოველთვის უკეთესი მანქანების დამზადებაა, იმისათვის, რომ გულახდილობისა პატივისცემის ცნებებზე დაყრდნობით, კავკასიის რეგიონის კლიენტების ცხოვრება გაამდიდროს. ეს, სამომავლო განვითარებად და ჯანსაღ ურთიერთობების შენარჩუნებას ნიშნავს, ზრდად მრავალფეროვან კლენტებთან და ადგილობრივ გაერთიანებებთან სამართლიანი და ღია კომუნიკაციის მეშვეობით



ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ამ მოქმედებით, კომპანია ხდება ყველაზე მეტად სანდო და საყვარელი ყველა იმ ქალაქში, სადაც მისი წარმომადგენლობა არსებობს. ამ მიდგომასთან თანმიმდევრულად, კომპანიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს მრავალფეროვან ინიციატივებს, იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც თავს იჩენენ იმ რეგიონებში, სადაც კომპანიის წარმომადგენლობა არსებობს. ტოიოტა, როგორც

Handwritten signature



ბრენდი, აპირებს ავტომობილების წარმოებაში მისი გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ადგილობრივ დონეზე კეთილდღეობის განვითარებაში და „ადგილობრივი გაერთიანებების ცხოვრების გამდიდრებაში“ თავისი წვლილის შესატანად.

ტოიოტა, როგორც ბრენდი, პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანებს, მიზნად ისახავს თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის მიცემას, რათა მათ გააკეთონ სოციალური წვლილის შენატანები, მოახერხონ თვითრეალიზაცია სამუშაოს მეშვეობით და უფლება მისცეს მათ გამოსცადონ მათი ფიქრის, შექმნისა და მოქმედების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად, ორმხრივი ნდობითა და პასუხისმგებლობით სავსე ურთიერთობა ხელმძღვანელობასა და დაქირავებულ თანამშრომლებს შორის არსებითია. ასეთი ურთიერთობებისას, კომპანია უმაღლეს პრიორიტეტად აწესებს მისი თანამშრომლების სტაბილურ დასაქმებას და აქტიურად ცდილობს გააუმჯობესოს შრომითი გარემო, ამავდროულად დაქირავებული თანამშრომლები აკეთებენ ყველაფერს, იმისათვის, რომ კომპანიის წარმატება გაზარდონ.

კომპანიამ, მნიშვნელოვან ხელმძღვანელობის სტრატეგიად მრავალფეროვნებისა და ჩართულობის წინ წაწევა დასახა. ხელმძღვანელობა მუშაობს იმაზე, რომ შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც მრავალფეროვანი შესაძლებლობის და ღირებულებების მქონე კადრებს და თითოეულ ინდივიდს შეუძლია მიაღწიოს დადებით თვითრეალიზაციას. მრავალფეროვანი პერსპექტივები ხელს უწყობს ახალი იდეების წარმოქმნას და პრობლემების გამოვლინებას. ტოიოტა მიზნად ისახავს, გამოიყენოს ეს კონტრიბუციები კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, რათა დაამზადოს ყოველთვის უკეთესი ავტომობილები.

2 კორპორაციული მმართველობა

შპს ტოიოტა კავკასია, ხელმძღვანელობის ძირითად პრიორიტეტად მდგრად ზრდას და კორპორაციული ღირებულებების, სტაბილურ, გრძელვადიან გაუმჯობესებას ისახავს. დადებითი ურთიერთობების შენება ყველა დაინტერესებულ მხარეებთან (აქციონერების, კლიენტების, ბიზნეს პარტნიორების, ადგილობრივი გაერთიანებების და თანამშრომლების ჩათვლით) და თანმიმდევრულად ისეთი პროდუქციის მიწოდება, როგორიც კლიენტებს აკმაყოფილებს, არის ამ პრიორიტეტების მთავარი ასპექტები. ამ კუთხით, ტოიოტა მუდმივად კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებაზე მუშაობს.

ფუნდამენტური მიდგომა - ტოიოტას, როგორც ბრენდის სახელმძღვანელო პრინციპები ადგენს, რომ ტოიოტამ, „პატივი უნდა მიაგოს ყველა ეროვნების ენას, სულიერებასა და კანონს და აწარმოოს ღია და სამართლიანი საქმიანობა, იმისათვის, რომ იყოს მსოფლიოს კარგი კორპორაციული მოქალაქე“. შპს ტოიოტა კავკასია, მშობელი საწარმოს (იგულისხმება ბრენდი ტოიოტა) მიერ დადგენილ სახელმძღვანელოებს მიყვება და სჯერა, რომ ამ პრინციპის საქმიანობაში დანერგვით, ის შეასრულებს მის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას და დაიცავს ნორმებს. ტოიოტას ქცევის კოდექსის ბუკლეტი ურიგდება ყველა თანამშრომელს, რათა ისინი, უკეთ უზრუნველყოფილები იყვნენ ამ კოდექსის მათ ცხოვრებაში და სამსახურში პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

გიორგი ჭყიპაძე

3 ძირითადი საქმიანობა და პროდუქციის პორტფელი

კომპანია ყიდის ტოიოტასა და ლექსუსის ბრენდირებულ ავტომობილებს და სათადარიგო ნაწილებს კავკასიის რეგიონში. რეგიონი გულისხმობს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზარს. კომპანია ყოველწლიურად აძლევს წარმომადგენლობის უფლებას იმ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს. წარმომადგენლობის უფლება ლექსუსისა და ტოიოტას ბრენდებზე გაიცემა ცალკე.



ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ინფორმაციას კომპანიის მთავარ წარმადობის ინდიკატორებზე:

აშშ დოლარში	2018	2017
ამონაგები	230,545,789	145,748,079
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	208,168,611	130,965,229
მთლიანი მოგების მარჟა	10%	10%
ნეტო მოგების მარჟა	5%	5%
სულ აქტივები	47,025,192	49,161,900
სულ კაპიტალი	27,673,690	25,214,423

4 მთავარი ცვლილებების განმარტებები

ამონაგების ზრდა (შესაბამისი ზრდა გაყიდვების ხარჯში) იყო გაზრდილი მოთხოვნის შედეგობრივი მოვლენა აზერბაიჯანის წარმომადგენლობებისგან, რაც გამოიწვია ზრდადმა იმპორტის საკომისიოს გადასახადმა მდიდრულ ავტომობილებზე. ამონაგების ზრდა სხვა ფაქტორებმაც გამოიწვია:

- მიმდინარე წელს ახალი ოფიციალური წარმომადგენლობის შემოსვლა საქართველოში- შპს ლექსუს თბილისი
- ხელმძღვანელობის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება საბაზრო პირობების დეტალურ ცოდნას, კლიენტების უპირატესობებს და კონკურენტების შეთავაზებებს
- კომპანიამ მრავალფეროვანი გახადა მისი პორტფელი ავტომობილების ახალი მოდელების

ხათუნა ზეიწყაძე

დანართი 1 – ხელმძღვანელობის ანგარიში



შემცირება აქტივებში ფულის და ფულის ექვივალენტების შემცირების გამოა წლის ბოლოსთვის. ამის უკან მდგომი მიზეზი არის ცვლილებები გადახდის პირობებში ტოიოტა მოტორ ევროპასთან (ეტაპების პერიოდი შემცირდა 150 დღიდან 7 დღემდე).
კაპიტალის ზრდა გამომდინარეობს 2018 წლის წმინდა მოგებიდან (12,511,001 აშშ დოლარი) შემცირებული გამოცხადებული და 2017 წლის განმავლობაში სრულად გადახდილი დივიდენდებით (7,527,410 აშშ დოლარი).

5 კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანია 2019 წელს გეგმავს ტოიოტას ავტომობილების გაყიდვების ინიცირებას განჯაში. პროდუქციის შემადგენლობა არ იქნება მნიშვნელოვნად შეცვლილი, ორიენტაცია უფრო მეტი ჰიბრიდული ავტომობილის გაყიდვზე იქნება, თუმცა კომპანია წარადგენს ტოიოტას ბრედნირებულ ახალ მოდელებსაც (ტოიოტა კამრი ჰიბრიდი და ლექსუს UX)

კომპანიის ოფიციალური დილერი ტოიოტა ცენტრი თეგეტა გეგმავს ახალი 2S სერვის ცენტრის გახსნას ბათუმში და კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ეს ფაქტი დადებით გავლენას იქონიებს სათადარიგო ნაწილების გაყიდვების მოცულობაზე.

ხელმძღვანელობა გეგმავს ინვესტიციების განხორციელებას ტოიოტას ოფისის მშენებლობაში მიწაზე, რომელიც მდებარეობს ავჭალში. მიწა კომპანიის საკუთრებაშია.

კომპანიის მთავარი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები.

კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორები, ცვლილებების შესაბამისი განმარტებებით შედარებული 2017 წლის ციფრებთან აღწერილია ზემოთ მოცემულ სექციაში „ძირითადი საქმიანობა და პროდუქციის პორტფელი“.

(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან. შპს ტოიოტა კავკასიის თანამშრომლების რაოდენობა 70-დან 75-მდეა. კომპანიას კარგად სტრუქტურირებული თანამშრომლების აყვანის პოლიტიკა აქვს და მხოლოდ ის კანდიდატები აყავს თანამშრომლებად, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და უნარები.

როგორც დამქირავებელი, შპს ტოიოტა კავკასია უზრუნველყოფს საჭირო ინსტრუმენტებს და საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რათა თანამშრომლებმა შეძლონ შესანიშნავი მომსახურების გაწევა კლიენტებისთვის. კომპანიას გააჩნია განსაკუთრებული დაწინაურების შესაძლებლობები, დადებითი სამუშაო გარემო, კონკურენტული ხელფასები მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნებებისთვის, სადაც დაქირავებული თანამშრომლის უფლებები კარგადაა დაცული და კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტების მიერ კარგად შემოწმებული.

(ii) ურთიერთობები მომწოდებლებთან და წარმომადგენლობებთან კომპანიამ ჩამოაყალიბა ჯანსაღი ურთიერთობები კავკასიის რეგიონის ყველა წარმომადგენლობასთან. კონკურენტუნარიან ბაზარზე წარმომადგენლობების ძლიერი პოზიცირება კომპანიის მიერ განსაკუთრებულად მხარდაჭერილია. შპს ტოიოტა კავკასიამ დაწერა შიდა სისტემა წარმომადგენლობებისთვის, რომელიც ისეთი ინფორმაციის სწრაფად გაცვლის საშუალებას იძლევა, როგორიცაა შეკვეთის დეტალები (ავტომობილებისა და სათადარიგო ნაწილების სპეციფიკაცია) და მიწოდების განრიგი.

შპს ტოიოტა კავკასია შეისყიდის ავტომობილებს ტოიოტა ცუშო კორპორაციისგან (მშობელი საწარმო) და რწმუნდება, რომ ყოველი პროდუქტის ხარისხი ემბება თითოეულ ინდივიდუალურ შესყიდვას.

(iii) საგადასახდო ორგანოსთან ურთიერთობა.

კომპანიის საგადასახდო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია. კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის დეპარტამენტი დაკოპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და

ბათუმის რეგიონის



საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, რათა იყვნენ საქმის კურსში საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიაზე. დამატებით, კომპანია იყენებს გარე რესურსების მომსახურებას საგადასახადო კონსულტაციებისთვის საჭიროებისამებრ. კომპანია ყოველწლიურად ამზადებს სატრანფერო-ფასწარმოქმნის ანგარიშს ადგილობრივ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლისთვის. კომპანიას აქვს საგადასახადო ორგანოებთან დავის შეზღუდული ისტორია, და არ გააჩნია არავითარი მნიშვნელოვანი ჯარიმის ან სანქციის ისტორია.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები.

შპს ტოიოტა კავკასია არის მხოლოდ ტოიოტას ავტომობილების და სათადარიგო ნაწილების ოფიციალური იმპორტიორი. ავტომობილები ძირითადად მზადდება იაპონიაში და ტრასპორტირებულია ზღვით. ქვემოთ მოცემული პირველი გრაფა აჩვენებს ავტომობილების 5 ტომოდელს გაყიდვების მიხედვით და მეორე გრაფა აჩვენებს ქვეყნების მიხედვით მიღებულ ამონაგებს გაყიდვებიდან.

გრაფა 1

ავტომობილები აშშ
დოლარში

	2018	2017
Land Cruiser		
Lexus	123,595,681	74,908,111
Camry	45,151,173	31,088,004
Rav 4	22,127,140	4,426,486
Hilux	7,863,111	9,582,618
Corolla	6,831,184	3,165,338
C-HR	6,493,801	7,975,267
Fortuner	5,542,928	3,311,905
Prius	3,888,526	3,432,559
Coaster	1,331,333	923,380
Hiace	136,006	323,686
	57,300	105,200

გრაფა 2

ავტომობილები აშშ
დოლარში

	2018	2017
საქართველო	81,754,118	59,737,617
აზერბაიჯანი	123,772,775	63,629,937
სასომხეთი	17,491,280	14,633,164

კომპანიის ძლიერი ფინანსური წარმადობა ქვემოთ მოცემული რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორითაა გამოწვეული:

- ტოიოტას და ლექსუსის ბრენდი - ტოიოტას გამორჩეული კომპეტენცია მისი წარმოების სისტემაა, რომელიც ცნობილია, როგორც „ტოიოტას წარმოების სისტემა“ ან TPS, TPS-ი ეფუძნება დანაკარგის გარეშე წარმოების კონცეფციას. ეს კონცეფცია ასევე მოიცავს ისეთ ინოვაციურ მეთოდებს, როგორებიცაა Just in Time, Kaizen, Six Sigma და ა.შ. ტოიოტამ დაუღალავად იმუშავა წლების განმავლობაში, რათა ჩამოეყალიბებინა მისი გამორჩეული კომპეტენცია. ამ გამორჩეულმა კომპეტენციამ მისცა ტოიოტას მდგრადი ბრენდის სახელი და ბაზრის ლიდერის პოზიცია.

ქეთევან ჭყეიშვილი



დანართი 1 – ხელმძღვანელობის ანგარიში

- მომსახურება და კლიენტის კმაყოფილება- შპს ტოიოტა კავკასია საბოლოო კლიენტს სთავაზობს საგარანტიო პოლიტიკას (მწარმოებლის გარანტია) რათა უზრუნველყოს კლიენტის კმაყოფილების მაღალი დონე.
- კომპანიის მთავარი ხელმძღვანელი პირები- კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს ინდუსტრიაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება და ჩართულია არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში 100%-ით, რაც ცვლილებებისთვის მოქნილობის საშუალებას იძლევა.

6 მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები:

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ეს რისკი იმისაა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისთვის ვალდებულების შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფული და ფულის ექვივალენტებიდან, ბანკის ვადიანი დეპოზიტებიდან, ასევე კლიენტების საკრედიტო რისკებიდან, დარჩენილი დებიტორული დავალიანებებიდან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	4,502,851	1,630,748
სხვა მოთხოვნები, ნეტო	191,536	278,394
სულ საკრედიტო რისკის არსებობა	4,694,387	1,909,142

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად საკრედიტო რისკის ჯგუფს ექვემდებარება, შედგება ძირითადად სავაჭრო მოთხოვნებისგან. ანგარიშების მოთხოვნის საბალანსო ღირებულება, მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის ნეტო წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელსაც გააჩნია საკრედიტო რისკი.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად, ჭარბად უზრუნველყოფილია (ის აქტივები, სადაც გირაო და სხვა დამატებითი საკრედიტო უზრუნველყოფა ერთმანეთის ტოლია ან აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას) საბანკო გარანტიებით. გირაომ 8,153 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და 5,300 ათასი აშშ დოლარი 2018 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისად 2017 დასარულებული წლებისთვის.

ფულადი სახსრები ინახება ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებიც იქ განთავსებისას ითვლება მინიმალური დეფოლტის რისკის მქონეებად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ნაშთებს მთავარ ბანკებთან საბალანსო თარიღებზე:

აშშ დოლარში	2018 წლის 31 დეკემბ.	2017 წლის 31 დეკემბ.
სს საქართველოს ბანკი – მიმდინარე ანგარიში	10,478,562	12,864,718
სს თიბისი ბანკი-მიმდინარე ანგარიში	4,964,115	5,164,831
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი- მიმდინარე ანგარიში	-	16,621
ტოკიოს ბანკი-შპს მიცუბიში UFJ, - მიმდინარე ანგარიში	20,000	1,490
სულ	15,462,677	18,047,660

სავალუტო რისკი. კომპანიას გააჩნია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რყევების მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. სავალუტო კურსის ტრანზაქციის რისკის არსებობა კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში შემცირებულია იმ ფაქტით, რომ კომპანიას, მისი ბრუნვისა და ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებული აქვს ფუნქციურ ვალუტაში (აშშ დოლარში). ძირითადი სავალუტო რისკი წარმოიქმნება აშშ დოლარის ღირებულების რყევისას კომპანიის წმინდა ინვესტიციებში აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში (უპირველესად ევრო და ქართული ლარი)

ქეთევან ჭყავიშვილი



დანართი 1 – ხელმძღვანელობის ანგარიში

სავალუტო რისკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს რისკის გაჩენის დონეს ვალუტის მიხედვით და სულ. პოზიციების მონიტორინგი ტარდება რეგულარულად.

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნაშთის პოზიცია, ნეტო
აშშ დოლარი	20,139,998	(18,353,678)	1,786,320
ქართული ლარი	17,103	(142,482)	(125,379)
ევრო	6	(34,463)	(34,457)
იაპონური იენი	-	(88,696)	(88,696)
სულ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20,157,107	(18,619,319)	1,537,788
აშშ დოლარი	18,996,115	(23,327,439)	(4,331,324)
ქართული ლარი	925,833	(60,617)	713,557
ევრო	32,014	(1,125)	30,889
იაპონური იენი	2,840	-	2,840
სულ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,956,802	(23,389,181)	(3,584,038)

კომპანიის ამოცანა კაპიტალის მართვის დროს არის ის, რომ შეინარჩუნოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, იმიასთვის, რომ უზრუნველყოს აქციონერებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის დაბრუნება და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა კაპიტალის ხარჯის შესამცირებლად.

პოლიტიკური რისკები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს ტოიოტა კავკასიის სამომავლო წარმადობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

მიცურუ კონიში
პრეზიდენტი

ირაკლი ლეკიშვილი
დირექტორი, კორპორაციული დაგეგმარების დეპარტამენტი

თარიღი:

ხელმოწერა

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N191179415



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

25.09.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

597999990

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

06221090289919



ორიათას ცხრამეტი წლის ოცდახუთ სექტემბერს მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4-ში, ვამოწმებ თარგმანის ქვეყნის ბეჭეტიწველის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "ტოიოტა კავკასია" ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში 2018წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აცემს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საბაჟო: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საბაჟოებისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 84.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი სულ გადახდილია 86 (ოთხმოცდა ექვსი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შპს “ტოიოტა კავკასია”

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში**

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა.....	6
2 კომპანიის საოპერაციო გარემო.....	6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	18
5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები.....	19
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	20
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	28
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	29
10 მარაგები.....	30
11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	30
12 სანქსდებო კაპიტალი.....	31
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	31
14 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით.....	31
15 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	32
16 დისტრიბუციის დანახარჯები.....	32
17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	32
18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	32
19 ფინანსური რისკების მართვა.....	33
20 კაპიტალის მართვა.....	39
21 რეალური ღირებულების შეფასება.....	39
22 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	41
23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	41
24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე.....	41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ტოიოტა კავკასიას ხელმძღვანელობასა და პარტნიორს

ჩვენი პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ტოიოტა კავკასიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 29 მარტი
თბილისი, საქართველო

შპს „ტოიოტა კავკასია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები ასახულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31დეკემბერი 2018	31დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	Error: Reference source not found	8,197,568	8,446,571
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,197,568	8,446,571
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	17,478,661	20,646,717
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	Error: Reference source not found	5,886,243	2,020,952
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	Error: Reference source not found	15,462,720	18,047,660
სულ მოკლევადიანი აქტივები		38,827,624	40,715,329
სულ აქტივები		47,025,192	49,161,900
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	Error: Reference source not found	10,000,000	10,000,000
გაუნაწილებელი მოგება		17,673,690	15,391,595
სავალუტო კურსის სხვაობა		-	(177,172)
სულ საკუთარი კაპიტალი		27,673,690	25,214,423
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	Error: Reference source not found	19,301,208	23,939,240
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		398	-
გადასახადების კრედიტორული დავალიანება, ნეტო		49,896	8,237
სუ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,351,502	23,947,477
სულ ვალდებულებები		19,351,502	23,947,477
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		47,025,192	49,161,900

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2019 წლის 29 მარტს.

[სახელი]
[პრეზიდენტი]

[სახელი]
[მთავარი ბუღალტერი]

თანმდევი შენიშვნები 5-დან 33-ე გვერდამდე ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია

შპს „ტოიოტა კავკასია“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (თანხები გამოსახულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	ვალუტის კონვერტირების	200,340,789	145,748,079
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	კაპიტალი ს რეზერვი	(208,168,811)	(130,963,228)
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	Reference source not found	10,951,832	20,770,155
წლის მოგება	-	7,527,410	7,527,410
მთლიანი მოგება	-	22,377,178	14,782,851
წლიური სრული შემოსავალი	-	-	4,505
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	260,555	2,231,416
დისტრიბუციის დანახარჯები	16	(4,206,131)	(3,145,862)
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი 2017 წლის 1 იანვარს	Error: Reference source not found	(4,734,477)	(4,333,442)
გამოსაღები დივიდენდებიდან სხვა საოპერაციო ხარჯები	-	18,479,242	28,302,070
წლიური სრული შემოსავალი	-	(484,155)	(3,001,643)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(1,010,180)	(2,227,160)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	10,000,000	(177,172)	15,391,595
საოპერაციო სარგებო	-	12,202,790	25,214,423
ფინანსური შემოსავალი	-	405,875	550,245
ფინანსური დანახარჯები	-	(97,127)	12,511,001
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	177,172	177,172
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	-	12,510,938	7,527,408
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი 2018 წლის 1 იანვარს	10,000,000	-	37,402,596
წლის მოგება	-	12,493,081	7,516,107
გამოსაღები დივიდენდები	-	(10,228,906)	(10,228,906)
სხვა სრული შემოსავალი	-	177,172	4,505
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	10,000,000	17,673,690	27,673,690
წლის მთლიანი სრული მოგება	-	12,670,253	7,520,612

**შპს „ტოიოტა კავკასია„
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია აშშ დოლარში)**

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		12,510,938	7,527,410
შესწორებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	Error: Reference source not found Error: Reference source not found	536,592	653,876
მარაგების ჩამოწერა რეალიზაციის ღირებულებამდე, ნეტო ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული ზარალი/(შემოსავალი), ნეტო		(97,609)	(118,618)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		78,619	(74,243)
საპროცენტო შემოსავალი		484,315	201,533
საპროცენტო ხარჯი		(405,875)	(550,245)
		97,727	129,107
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		13,204,707	7,768,820
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	Error: Reference source not found 10	(3,873,323)	534,745
ცვლილება მარაგებში	Error: Reference source not found	3,265,665	(9,575,875)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(4,807,482)	9,465,977
ცვლილება სხვა გადასახდელ გადასახადებში		42,057	(370,189)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(5,373,083)	54,658
გადახდილი მოგების გადასახადი		(129,396)	(805,923)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		405,875	550,245
გადახდილი პროცენტი		(72,557)	(129,107)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		8,035,546	7,438,693
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	Error: Reference source not found	(322,798)	(868,780)
ამონაგები ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		(43,410)	434,088
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(366,208)	(434,692)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კომპანიის აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები		(10,228,906)	(3,087,647)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(10,228,906)	(3,087,647)
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად ნაკადებზე და მათ ექვივალენტებზე		(25,372)	(41,536)

შპს „ტოიოტა კავკასია“,
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	Error: Reference source not found	18,047,660	14,172,842
ფულადი ნაკადები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	Error: Reference source not found	15,462,720	18,047,660

1 შპს ტოიოტა კავკასია და მისი საქმიანობა

შპს ტოიოტა კავკასია (შემდგომ „კომპანია“) 2006 წლის 18 იანვარს დაფუძნდა საქართველოში და დარეგისტრირდა თბილისში საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით 236089273. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა (შპს) და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია.

კომპანიის მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Toyota Tsusho Corporation“, რომელიც მისი აქციების 100%-ს ფლობს.

კომპანიას საშუალოდ 71 თანამშრომელი ჰყავს (2017:71).

კომპანიამ საქმიანობა 2006 წლის მარტში დაიწყო. კომპანიის ძირითადი ბიზნეს-საქმიანობაა Toyota Tsusho Corporation-სა და Toyota Motor Europe-სგან ტოიოტას ავტომანქანებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და მათი საბითუმოდ გაყიდვა კავკასიის რეგიონში მოქმედი ავტორიზებული დილერებისათვის. კომპანია მოქმედებს ტოიოტა ცუშო კორპორაციასა და კომპანიას შორის დადებული სადისტრიბუციო ხელშეკრულების მიხედვით, რის საფუძველზეც, კომპანიას ენიჭება ექსკლუზიური სადისტრიბუციო უფლება ტოიოტასა და ლექსუსის პროდუქციის გადაყიდვაზე.

2010 წლის 30 სექტემბერს კომპანიამ შპს F&Co-ს აქციების 100% შეიძინა. ძირითადად ეს გახლდათ მიწის ნაკვეთი, რომელსაც კომპანია თავიდანვე ქირაობდა თავისი გასაყიდი ავტომანქანების გასაჩერებლად, რისთვისაც კომპანიამ 6,620,178 აშშ დოლარი გადაიხადა. 2018 წლის 24 ივლისს, კომპანია შეერწყა თავის შვილობილ კომპანიას, შპს F&Co-ს.

2013 წლის 4 ნოემბერს შპს ტოიოტა კავკასიამ წარმომადგენლობა დააფუძნა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. წარმომადგენლობა შვილობილი საწარმო არ არის. კომპანიის ერთადერთი საქმიანობაა კომპანიის წარმოდგენა და მისი ინტერესების დაცვა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ყაზბეგის ქ. #34, საქართველო, 0186, თბილისი.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს ისევ აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საქართველოს იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნესის ამ დარგსა და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რა გავლენა, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მას კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტი) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებით რეალური ღირებულების საფუძველზე. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. პოლიტიკის ცვლილებების გარდა, რომელიც ფასს 9-სა და ფასს 15-ს მიღების შედეგია, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრობით იქნა გამოყენებული წარდგენილ თითოეულ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის 31 დეკემბრამდე, წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებთან შესაბამისობაში მომზადება მოთხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან გამოიყენოს მისი განსჯა კომპანიის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის ადგილები, სადაც განსჯის ან სირთულის მაღალი დონეა ჩართული, ან ის ადგილები, სადაც ვარაუდები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია, გამჟღავნებულია მე 4-ე შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი ("USD"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ტრანზაქციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია სანარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია იმ დღის ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური სავალუტო მოგება და ზარალი, რომელიც ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლის კურსის და უცხოური ვალუტის გაცვლის მოგება და ზარალი, რომელიც ეხება ფულს და ფულის ექვივალენტებს, წარდგენილია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, უცხოური ვალუტის ზარალი, ნეტო ნაწილში.

შვილობილი საწარმოს (შპს F&Co) ნაშთი, რომელიც განსხვავებულ ვალუტაშია (ქართული ლარი) კონვერტირებულია აშშ დოლარში 2.4454 გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც ძალაში იყო შერწყმის დღეს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ, გაუფასურების ანარიცხებით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შედინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება მოხდება კომპანიაში. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები განეწესება აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ბარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ბარალი ანულირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ბარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების გადანაწილების გზით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
ავტომანქანები	4 წელი
კომპიუტერული მოწყობილობები	2.5 წელი
საოფისე მოწყობილობები	2.5 წელი
სხვა	2.5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. შეძენილი ბუღალტრული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის განეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-მენახვა, ხარჯებში აისახება განევისთანავე. პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 3 წლის განმავლობაში. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გაყიდვის ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, უმაღლესს ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები - მთავარი შეფასების პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც არ ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის რეალური ღირებულებით, იმ ფასზე დაყრდნობით, რომელიც მიიღებოდა წმინდა ხანგრძლივი პოზიციის (მაგ. აქტივის) გაყიდვით, განსაკუთრებული რისკის ქვეშ, რიგითი ტრანზაქციისას, ბაზრის მონაწილეებს შორის, შეფასების დღეს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულებების იერარქიაში დონეებს შორის გადანაცვლებები არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (“AC”) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს დაფარვის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან შემოსავლები (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვები და გაყიდვები, რომლებიც მოითხოვენ მიწოდებას გარკვეულ ვადებში, რომლებიც დადგენილია რეგულაციებით და საბაზრო კონვენციებით („ჩვეულებრივი გზით“ შესყიდვები და გაყიდვები), აღრიცხება ვაჭრობის თარიღით, რომელიც ის თარიღია, რის მიხედვითაც კომპანიამ განახორციელა ფინანსური აქტივის მიწოდება. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ანარიცხებში.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით (“AC”) აფასებს. სავალდებულო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი”) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიას მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიას მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა და როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”). წარმოებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მართვა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ აღარ ექვემდებარება ხელახალ შეფასებას.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ბარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ბარალისთვის. კომპანიას ორი ტიპის ფინანსური აქტივი აქვს რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის მოდელს - (i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და (ii) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გამოძოს მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ბარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცვილებული დღეების მიხედვით.

მე-20-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის შესაფასებლად, მათ შორის თუ როგორ აერთიანებს კომპანია მომავალ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის მოდელში.

ფინანსური აქტივები – ჩამონერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ ასებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამონერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივები გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით“, გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზრალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“; ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიობა ან გაკოტრება.

3 მიწვევითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არ აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემამდე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უნევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება: ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად დივიდენდის გადახდის რეალური თარიღისა. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: (i) ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, (ii) აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და (iii) წარმომადგენლობითი დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მთლიანობაზე დაყრდნობით და გამჟღავნებულია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. სადაც ანარიცხი მიღებულია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ბარალისთვის, გაუფასურების ბარალი აღრიცხულია მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ს ჩათვლით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით. პროდუქცია ტრანზიტში წარმოადგენს ყველა იმ პროდუქციას, რომელიც შესყიდულია და გადაზიდული, მაგრამ ჯერ მიწოდებული არაა. პროდუქციის რისკი და სარგებელი გადადის კომპანიაზე იმ დროიდან, როდესაც პროდუქცია გადაზიდულია.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ბარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ბარალი აღიარდება წლის მოგება-ბარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებებში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარება.. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიენოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება.

გაყიდვებში არ არის წარმოდგენილი არანაირი დაფინანსების ელემენტი, რადგან გაყიდვები ხორციელდება 21 დღიანი საკრედიტო პირობით, რაც შეესაბამება საბაზრო პრაქტიკას.

მოთხოვნა აღიარებულია მაშინ, როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს ის დროის მონაკვეთია, როდესაც კომპენსაცია უპირობოა, იმიტომ, რომ მხოლოდ დროის გასვლაა მოთხოვნილი მანამ, სანამ გადახდის დრო მოვა.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლის მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები. ანაზღაურება, ხელფასები, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც აღნიშნული მომსახურება გაწეულ იქნა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ფინანსურ ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებებისა და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების სანყისი აღიარება. ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ეს ოპერაციები ძირითადად საბაზრო ღირებულებით ფასდება. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. მსჯელობის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებებზეა დამოკიდებული.

წახალი და გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება. კომპანიამ „ფასს“ 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ არჩია რომ არ დაეკორექტირებინა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნწილებელი მოგების სანყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები აღწერილია მე-3-ე შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 27-ე შენიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტების გადაკლასიფიცირება მოხდა ბასს 39-ის „სესხები და მოთხოვნების (“L&R”) კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის შემოღების თარიღით. ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნების გადაკლასიფიცირება მოხდა ბასს 39 -ის „სესხების და მოთხოვნების (“L&R”) კატეგორიიდან“ ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის მიღების თარიღით. სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

5 ახალი და გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფასს 9-ს გავლენა რეზერვებზე და გაუნაწილებელ შემოსავალზე არ იყო მნიშვნელოვანი 2018 წლის 1 იანვრისთვის. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღირიცხა ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ცვლილებები არ მომხდარა.

ფასს 15-ის „ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიღება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და არჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდის ხელმისაწვდომი, პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონისძიებების მიღება. კომპანია ფასს 15-ს იყენებს რეტროსპექტიულად მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ს მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და შესწორებების აღიარება ფინანსური ანგარიშგებაში. მთავარი ცვლილება ფასს 15-ის მიღების შედეგად დამატებითი წარმადობის ვალდებულება იყო, გადამიდვის ბრუნვა. ფასს- 15-ის ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

შემდგომი შეცვლილი სტანდარტები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- შესწორებები ბასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ნსაბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, ასევე ხორციელდება დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამოიცხადებულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის გამოიყენებს მის სავალდებულო კორექტირების თარიღს, 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისების ცვლილების გარეშე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს შეუქცევადი მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები 355 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც აღიარებული იქნება ხარჯად, წრფივი მეთოდით, მოგება-ზარალში.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ბარალიანი გახდება, სანარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დამშვებებზე ან შეფასებებზე. ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დამშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადო მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან მეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დამშვებებსა და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 28 “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოეწონა, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ საგადასახდელო საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ საგადასახდელო ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დამშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია.

კომპანია არ მოელოდა, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემდგომ ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ბასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-მარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯულ ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის ასრებითად დასრულებამდე. კომპანია არ მოელოდა, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და განეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელოდა ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო სანარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

1 საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშუალო მშობელი სანარმო და მაკონტროლებელი მხარე გამჟღავნებულია შენიშვნა 1-ში.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

დოლარში	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სანარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	1,079,081
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,261,293	33,791

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლების და ხარჯების მუხლები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დოლარში	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სანარმოები
საგარანტიო მოთხოვნა	-	1,372,611
სადაზღვევო მოთხოვნა	-	27,147
პროდუქციის შესყიდვა	(197,013,436)	(7,221,113)
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(137,167)	-
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	-	(31,888)
სხვა მომსახურება	-	(197,431)
საპროცენტო ხარჯი	-	(96,659)

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	1,634	229,316
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,193,240	36,716

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლების და ხარჯების მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	უშუალო მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
საგარანტიო მოთხოვნა	-	2,376,245
სადაზღვევო მოთხოვნა	-	3,984
პროდუქციის შესყიდვა	(135,022,168)	(6,208,671)
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	(94,048)	-
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	-	(38,424)
სხვა მომსახურება	-	(103,073)
საპროცენტო ხარჯი	-	(129,107)

დაკავშირებული მხარეების ფინანსური მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნებს ანაზღაურებად გარანტიებზე და სადაზღვევო მოთხოვნებზე, რომლებიც მიღებული იყო ან დაერიცხა კომპანიას და წარედგინათ შესაბამის მხარეებს საგარანტიო და სადაზღვევო შეთანხმებების საფუძველზე. საპროცენტო ხარჯი ეკისრება ვადაგადაცდილებულ გადასახდელ თანხებს, რომლებიც გამომდინარეობს დაკავშირებული მხარის სათადარიგო ნაწილების შესყიდვისგან. (1.85% საპროცენტო განაკვეთი 90 დღეზე განერილი).

კომპენსაცია, რომელიც გაიცემა ხელმძღვანელ პირებზე მათი მიერ გაწეული მომსახურებისთვის, სრული განაკვეთით აღმასრულებელი მმართველების პოზიციაზე შეყვანილია თანამშრომლების ხარჯებში მოგება ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 162 ათას აშშ დოლარს და 190 ათას აშშ დოლარს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

მძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

შპს „ტოიოტა კავკასია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებები - 31 დეკემბერი, 2018

დოლარში	მინა და შენობა- ნაგებობე ბი	ავტომობილები	კომპიუტერ ული აღჭურვილ ობა	საოფისე აღჭურვილობ ა	სხვა	არამატერია ლური აქტივები	სულ
თვითღირებულება							
2017 წლის 1 იანვარს	7,237,292	1,041,726	265,590	620,053	479,361	462,679	10,106,701
დაგროვილი ცვეთა	(108,657)	(447,837)	(161,234)	(521,871)	(134,829)	(179,811)	(1,554,239)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	7,128,635	593,889	104,356	98,182	344,532	282,868	8,552,462
დამატებები	-	551,434	125,537	4,851	-	186,958	868,780
გასვლები	-	(760,476)	(152,579)	(539,761)	(1,141)	(258,815)	(1,712,772)
ცვეთის ხარჯი	(28,189)	(170,091)	(75,124)	(88,175)	(110,420)	(147,335)	(619,334)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	400,631	152,579	539,761	1,141	258,815	1,352,927
ნარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	4,508	-	-	-	-	-	4,508
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	7,104,954	615,387	154,769	14,858	234,112	322,491	8,446,571
